# ხელშეკრულება N 253

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

**დაბა შუახევი** **16 ნოემბერი 2018 წ**

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში -შემსყიდველი), მერის ფრიდონ ფუტკარაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ შპს „მათე მოტორსი“ მისი დირექტორის მინდობილობით პირის (მინდობილობა #2017-02, 2017 წლის 03 იანვრის გაცემული შპს „მათემოტორსი“მიერ) აჭარის ფილიალის დირექტორის დომენტი ჩხეტიას სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა, მიაწოდოს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილ ავტო მანქანას **„ტოიოტა ფორტუნერ“-ს (სახ ნომერი MMV-091) სათადარიგო ნაწილები , დანართში მოცემული ჩამონათვალის მიხედვით**, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2 მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს მიწოდებულ საქონელს და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულება არეგურილებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

1.4 CPV 34322400 - მუხრუჭის ხუნდები-140ლ

1.5 CPV 09211100 - ძრავის ზეთები-100 ლარი

1.6 CPV 42913300 - ზეთის ფილტრები-20 ლარი

1.7 CPV 24951311 - ანტიფრიზები-24ლარი

## 2.საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **284 (ორას ოთხმოცდაოთხი )** ლარს .

2.2 საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.2 შემსყიდველის მიერ მიწოდებულ საქონლის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ ათი საბანკო დღის განმავლობაში.

2.3 მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულენბული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, საქონლის მიწოდების შესახებ შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

2.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

2.5 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის მოცულობების ღირებულება არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობების ღირებულებას.

## 3 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და მსაქონლის მიწოდების პირობების შესრულებას განახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დამხმარე მოსამსახურე **იოსებ დავითაძე(მძღოლი)**. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშვალებებით და სხვა სამუშაო პირობებით იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2 თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწდებელს.

4.4 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. საქონელი ჩაითვლება მიღებულად ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.5 მოსაქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შემდეგ.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ ყველა იმ გარემოებების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას.

ბ) 10 (ათი) დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება.

5.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის სესახებ დადებული ხელსეკრულების მოქმედება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულებების პირობები.

6.2 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელსეკრულების შესრულების წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელსეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,02%-ს ყოველი ვადაგადაცილებლ დღეზე.

6.4 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებლისათვის საქონლის ღირებულების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით უხდის საქონლის ღირებულების 0,02%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.5 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელსეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს ხელსეკრულების მოქმედება. ვადამდე შეწყდება.

6.6 ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებისაგან.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელსეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5 მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს რეალური საშიშროებას იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალებულებებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეტა სეთანხმების საფუძველზე.

7.8 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათავალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.9 ერთ-ერთი მხარის ნინიციატივით წინამდებარე ხელსეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

## 8. საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1 საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 25 ნოემბრამდე პერიოდი.

8.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

უშვალო ზემოქმედებას ახდენენ ხელსეკრულების შესრულებაზე.
9.2 ხელსეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთანავე მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში

## 10. დავები და მათი გადაწყვეტილების წესი

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანმხდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარებენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელსეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეტანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს. თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 11. გადასახადები და ბეჟები

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 13. სხვა პირობები

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელსეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
13.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელნმოწერის მომენტიდან.
13.3 ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

## 22. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| შუახევის მუნიციპალიტი | შპს ,,მათე მოტორსი" |
| მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30 | მის.ქ.თბილისი,მტკვრის მარჯვენა სანაპირო 6 |
| | სს ,,პროკრედიტ ბანკი " |
| | ბ/კოდი MIBGGE22 |
| სახელმწიფო ხაზინა | ანგ.N GE50PC0443600100006430 |
| ს/კ 247865145 | ს/კ 204470063 |
| მერი ფრიდონ ფუტკარაძე | დირექტორის მინდობილი პირი |
| | დომენტი ჩხეტია |
| --- | --- |

დანართი N 1

ფასების ცხრილი

| N | კლასიფიკატორი | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი, ₾ | საერთო ფასი, ₾ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 34322400 | მუხრუჭის ხუნდები | კომპლექტი | 1 | 140 | 140 |
| 2 | 9211100 | ძრავის ზეთი | ლიტრი | 5 | 20 | 100 |
| 3 | 42913300 | ზეთის ფილტრები | ცალი | 1 | 20 | 20 |
| 4 | 24951311 | ანტიფრიზები | ლიტრი | 2 | 12 | 24 |
| მთლიანი თანხა | | | | | | 284 |

შპს "მათე-მოტორსი"-ის დირექტორის მ/პ: დომენტი ჩხეტრა

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დაბა შუახევი 16 ნოემბერი 2018 წელი

ვადასტურებთ , რომ მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა ტოიოტა ფორტუნერისთვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერი: ფრიდონ ფუტკარაძე

ადმ.სამსახურის
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი) : იოსებ დავითაძე